საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს სხდომა

„თბილისი მერიოტი“
7 თებერვალი, 2020

შეხვედრის ოქმი

დღის წესრიგი[1]

10:30-11:00	ჩაი/ყავა
11:00-11:20	საბჭოს გახსნა
	ნათია მეზვრიშვილი - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი **ლუიზა ვინტონი** - გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში **კატალინ გერმანი** - თანამშრომლობის ხელმძღვანელის მოადგილე, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში
11:20-11:40	**საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის პროგრეს ანგარიში** (2019 წლის I-III კვარტლის მდგომარეობით) **- I ნაწილი**
	- **ზოგადი შედეგები -** საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს სამდივნო - **კითხვა-პასუხი**
11:40-12:10	**საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის პროგრეს ანგარიში** (2019 წლის IV კვარტალი) **- II ნაწილი და 2020 წელს განსახორციელებელი ძირითადი საკითხები**

	- **სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესი სექტემბერი-დეკემბრის მდგომარეობით** - პასუხისმგებელი უწყებები
	  – **მზია გიორგობიანი,** საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე
	  – **ზურაბ სანიკიძე,** სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე
	  – **ნიკოლოზ გაგნიძე,** მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე
	  – **ეკა ქარდავა,** საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი
	- **კითხვა-პასუხი**

12:10-12:50	**საჯარო მმართველობის რეფორმის ახალი სტრატეგიის შემუშავება - მიდგომა და საწყისი პოზიციები**

[1] საბჭოს შეხვედრა გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) და დიდი ბრიტანეთის მთავრობის მხარდაჭერით გაიმართა.

- **სტრატეგიის შემუშავების კალენდარი** - საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს სამდივნო
- **რეკომენდაციები ახალი სტრატეგიის შემუშავებასთან დაკავშირებით** - SIGMA
- **PAR კომუნიკაციის სტრატეგია - მიმდინარე სამუშაო და სამომავლო გეგმები** - საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს სამდივნო
- **დისკუსია** - ახალი სტრატეგიის სავარაუდო პრიორიტეტები; კავშირი მიმდინარე და დაგეგმილ ძირითად რეფორმებთან

12:50-13:10	საჯარო მმართველობის რეფორმაში სამოქალაქო საზოგადოების როლი
	დისკუსია: გეგმები 2020 წლისთვის და შემდგომ - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რომლებიც მონაწილეობენ ევროკავშირის პროექტში - „PAR-ის მხარდაჭერა სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერების გზით“
13:10-13:20	შეხვედრის დახურვა

საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს გახსნა

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ (ადმინისტრაცია), როგორც საჯარო მმართველობის რეფორმის მაკოორდინირებელმა უწყებამ, საჯარო მმართველობის რეფორმის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს (საბჭო) უმასპინძლა.

საბჭო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა ნათია მეზვრიშვილმა, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში ლუიზა ვინტონმა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის (EUD) წარმომადგენელმა, თანამშრომლობის ხელმძღვანელის მოადგილემ, კატალინ გერმანმა გახსნეს.

ნათია მეზვრიშვილმა საჯარო მმართველობის რეფორმის (რეფორმის) მნიშვნელობაზე ისაუბრა და საბჭოს წევრებს რეფორმის უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით ადმინისტრაციის სამომავლო გეგმები გააცნო. მან აღნიშნა, რომ სწორედ რეფორმის ფარგლებში განხორციელდა ქვეყანაში ის მნიშვნელოვანი მიღწევები, როგორიცაა: მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების ჩამოყალიბება, რომელიც უკვე მთავრობის დადგენილებით რეგულირდება; საქართველოს ორი მნიშვნელოვანი კანონის - „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ შემუშავება და ძალაში შესვლა; ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო სერვისების მიწოდების ერთიანი პოლიტიკის შემუშავების დაწყება; თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის დანერგვა და პრაქტიკაში ამოქმედება.

ნათია მეზვრიშვილმა აღნიშნა, რომ ადმინისტრაციის პრიორიტეტია **ორი კონკრეტული მიმართულებით მუშაობა** და ამ მხრივ საბჭოს გაძლიერება. მისი თქმით, უმნიშვნელოვანესია, წარმატებით შესრულდეს მიმდინარე 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანები და 2020 წლის დასასრულს გვქონდეს ხელშესახები შედეგები. როგორც ადმინისტრაციის უფროსმა განაცხადა, სამდივნომ უკვე დაიწყო **გეგმის შესრულების წლიური მონიტორინგი,** რათა დროულად მიაწოდოს საბჭოს ინფორმაცია მიმდინარე პროგრესისა და არსებული ხარვეზების შესახებ.

გარდა ამისა, როგორც ნათია მეზვრიშვილმა აღნიშნა, რეფორმის უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით, საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით, იგეგმება **საჯარო მმართველობის რეფორმის ახალი სტრატეგიის შემუშავების დაწყება.** მან ხაზი გაუსვა ამ პროცესში არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა ჩართულობის მნიშვნელობას.

ადმინისტრაციის უფროსმა ასევე ისაუბრა პროცესში საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერის მნიშვნელობაზეც და განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ევროკავშირისა და OECD/SIGMA-ს ექსპერტებს აქტიური ჩართულობისთვის, უწყვეტი თანამშრომლობისა და საბჭოს შეხვედრაში მონაწილეობისთვის.

სიტყვის დასასრულს, ნათია მეზვრიშვილმა მადლობა გადაუხადა საჯარო მმართველობის რეფორმის პროცესში ჩართულ ყველა საჯარო უწყებას, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციას და დაადასტურა მაღალი პოლიტიკური ნება, რათა ბოლომდე განხორციელდეს რეფორმით გათვალისწინებული პროექტები და ფართო ჩართულობით დაიგეგმოს შემდგომი ნაბიჯები.

UNDP-ის მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში, **ლუიზა ვინტონმა** მადლობა გადაუხადა მთავრობის ადმინისტრაციის უფროსს, ევროკავშირის დელეგაციას, მინისტრის მოადგილეებსა და რეფორმაში ჩართულ საჯარო უწყებების წარმომადგენლებს.

როგორც ლუიზა ვინტონმა აღნიშნა, ის მოხარულია, რომ გაერო-ს განვითარების პროგრამა რეფორმას დასაწყისიდან უჭერს მხარს და მონაწილეობს საჯარო მმართველობის პრინციპების დანერგვაში. მან ასევე ხაზი გაუსვა პროცესში სამოქალაქო საზოგადოების როლს და აღნიშნა, რომ მათი ჩართულობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია რეფორმის დასახული მიზნების მიღწევისა და მისი წარმატებით განხორციელებისთვის.

ლუიზა ვინტონმა ისაუბრა რეფორმის ფარგლებში მიღწეულ წარმატებულ შედეგებზეც და იმედი გამოთქვა, რომ ეს პროგრესი 2020 წელსაც გაგრძელდება. მისი თქმით, UNDP მზად არის გააგრძელოს რეფორმის მხარდაჭერა.

UNDP-ის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში ასევე შეეხო პროფესიული და პოლიტიკური გავლენებისგან თავისუფალი საჯარო სამსახურის შექმნის არსებულ პრიორიტეტს და აღნიშნა დონორთა ყოველწლიურ ფორუმზე პრემიერ-მინისტრის წარმოთქმული სიტყვა, სადაც პრემიერმა საჯარო მმართველობის რეფორმის მნიშვნელობასა და თავისუფალი საჯარო სამსახურის საჭიროებაზე ისაუბრა.

ლუიზა ვინტონის თქმით, 2020 წელს მნიშვნელოვანია რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულებით მუშაობა. როგორც მან განაცხადა, საჭიროა განხორციელდეს საჯარო სამსახურის რეფორმის თვითშეფასება, რაც საკმაოდ კომპლექსური საკითხია, თუმცა ამ პროცესში მან გამოცდილი საერთაშორისო ექსპერტების მხარდაჭერის იმედი გამოთქვა. მისი თქმით, ასევე მნიშვნელოვანია პრაქტიკაში წარმატებით დაინერგოს პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების ახალი მეთოდოლოგიური ჩარჩო, რაც მთავრობის ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს. ლუიზა ვინტონმა იმედი გამოთქვა, რომ საჯარო სერვისების მიწოდების მიმართულებითაც გაგრძელდება პოზიტიური შედეგები და უახლოეს მომავალში დამტკიცდება სახელმწიფო სერვისების შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განფასების პოლიტიკის დოკუმენტი.

ლუიზა ვინტონის განცხადებით, მართალია, წინ ყველასთვის რთული წელია, თუმცა შესამჩნევია მთავრობის ადმინისტრაციის მზაობა და პასუხისმგებლობა, რაც საერთაშორისო პარტნიორებს ოპტიმისტურად განაწყობს.

ევროკავშირის წარმომადგენელმა საქართველოში, **კატალინ გერმანმა** აღნიშნა, რომ არცერთ რეფორმას არ აქვს აზრი, თუ ქვეყანაში საჯარო მმართველობის რეფორმა არ მუშაობს, რადგან რეფორმა ერთდროულად რამდენიმე მიმართულებას ეხება და ურთიერთ გადამკვეთ საკითხებს მოიცავს. ბატონმა გერმანმა პოზიტიურად შეაფასა საბჭოში საჯარო უწყებებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა ჩართულობის დონის მნიშვნელოვანი ზრდა. როგორც ბატონმა გერმანმა აღნიშნა, რეფორმის ფარგლებში

სახეზეა არაერთი მიღწევა და ხელშესახები შედეგი და დასძინა, რომ საჭიროა, ახალი სტრატეგიის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნეს მიღებული გამოცდილება.

დასასრულს, კატალინ გერმანმა ისაუბრა საჯარო მმართველობის რეფორმის ფარგლებში მოქალაქეებთან კომუნიკაციის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ აუცილებელია მოქალაქეებს მიეწოდოთ დროული და სრულყოფილი ინფორმაცია რეფორმის ფარგლებში მიღწეული პოზიტიური შედეგების შესახებ, რათა რეფორმა მომავალში კიდევ უფრო წარმატებით განხორციელდეს.

საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის პროგრეს ანგარიში

⇔ ზოგადი შედეგების წარდგენა სამდივნოს მიერ

საჯარო მმართველობის რეფორმის სამდივნოს ხელმძღვანელმა, ქეთი ცანავამ საბჭოს წევრებს წარუდგინა საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის პროგრეს ანგარიში 2019 წლის I-III კვარტლის მდგომარეობით[2] და საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ სამდივნომ უკვე დაიწყო სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადება, რომელიც სრულად დაფარავს 2019 წელს.

როგორც ქეთი ცანავამ აღნიშნა, მეთოდოლოგიის მიხედვით, მონიტორინგი სამ ეტაპად განხორციელდა: **პირველ ეტაპზე** პასუხისმგებელმა უწყებებმა წარმოადგინეს შესრულებული სამუშაოს თვითშეფასება დადასტურების წყაროებით; **მეორე ეტაპის** ფარგლებში პასუხისმგებელი უწყებების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია კომენტარებისა და უკუკავშირისთვის სამოქალაქო საზოგადოებას წარედგინა; **მესამე ეტაპზე** კი სამდივნომ პასუხისმგებელი უწყებებისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე მოამზადა სამოქმედო გეგმის პროგრეს ანგარიში.

როგორც ქეთი ცანავამ აღნიშნა, სამდივნომ 2019 წლის III კვარტლის ბოლოს მდგომარეობით რეფორმის 4 მიმართულებით 16 აქტივობის შედეგის ინდიკატორის შესრულება შეაფასა. პროგრეს ანგარიში არ აფასებს საჯარო ფინანსების მართვისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართულებები, ვინაიდან ეს კომპონენტები არ ფარავდა საანგარიშო პერიოდში შესასრულებელ აქტივობებს. თუმცა, როგორც სამდივნოს ხელმძღვანელმა აღნიშნა, პროგრეს ანგარიში ზოგადად მიმოიხილავს აღნიშნული ორი მიმართულებით არსებულ პროგრესს. ქეთი ცანავამ საბჭოს წევრებს საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი და დახარჯული ფინანსების შესახებაც მიაწოდა ინფორმაცია.

სამდივნოს ხელმძღვანელმა საბჭოს წევრებს გააცნო პროგრესი რეფორმის თითოეული მიმართულებით. **პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია** - სამდივნოს მიერ შეფასდა ათი აქტივობის შედეგის ინდიკატორი, რომელთა პასუხისმგებელ უწყებებად განსაზღვრული იყო მთავრობის ადმინისტრაცია და იუსტიციის სამინისტრო. როგორც ქეთი ცანავამ აღნიშნა, მთავრობის ადმინისტრაციის ვალდებულებები ეხებოდა პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგის და შეფასების მიმართულების გამართვას, ხოლო იუსტიციის სამინისტროს ვალდებულებად განსაზღვრული იყო ანტიკორუფციული საბჭოს ელექტრონული მოდულის შექმნა. RIA-ს შესახებ კანონპროექტის შემუშავებაზე კი პასუხისმგებელ უწყებებად იუსტიციის სამინისტრო და მთავრობის ადმინისტრაცია იყო განსაზღვრული. ქეთი ცანავამ საბჭოს წევრებს საანგარიშო პერიოდის მნიშვნელოვანი მიღწევები გააცნო - როგორც მან აღნიშნა, საანგარიშო პერიოდში მომზადდა პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესისა და სახელმძღვანელოსა და დანართების საბოლოო ვერსიები. რაც შეეხება საჯარო კონსულტაციების გამართვის საუკეთესო პრაქტიკის

[2] პროგრეს ანგარიშის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია აქ.

კვლევის ანგარიშის მომზადებას, ქეთი ცანავას გაცხადებით, საქართველოს პარლამენტში არსებულმა ღია მმართველობის საპარლამენტო მუდმივმოქმედმა კომიტეტმა და მისმა თემატურმა მოკვლევის ჯგუფმა დაიწყო ამ საკითხზე მუშაობა, შესაბამისად, ადამიანური და ფინანსური რესურსის დაზოგვის მიზნით, ადმინისტრაცია შეუერთდა ამ პროცესს. შედეგად, მომზადდა საჯარო კონსულტაციების გამართვის საუკეთესო პრაქტიკისა და საკანონმდებლო ბაზის შესახებ კვლევის პირველადი სამუშაო ვერსია. სამდივნოს ხელმძღვანელის თქმით, ასევე მნიშვნელოვან მიღწევად შეფასდა საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზემოქმედების შეფასების (Regulatory Impact Assessment – RIA) შესახებ კანონპროექტის შემუშავება და დამტკიცება.

ქეთი ცანავას თქმით, **საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით,** სამდივნომ შეაფასა საჯარო სამსახურის ბიუროს კომპეტენციას მიკუთვნებული ორი აქტივობის შედეგის ინდიკატორი, რომელიც ეხებოდა პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის რეგულაციის შემუშავებას და ამის შემდგომ, აღნიშნული სასწავლო პროგრამების რეიტინგების შექმნასა და გამოქვეყნებას. როგორც ქეთი ცანავამ განმარტა, საანგარიშო პერიოდის მნიშვნელოვან მიღწევად სამდივნომ მოიაზრა პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის რეგულაციის შემუშავება, თუმცა, ხაზგასასმელია, რომ მონიტორინგის პერიოდისთვის არ შექმნილა პროგრამების რეიტინგი. აღინიშნა, რომ რეიტინგის შექმნა და გამოქვეყნება ტექნიკური საკითხია, ვინაიდან, საჭიროა პროფესიულმა საჯარო მოხელემ ჯერ გაიაროს პროგრამა, შეაფასოს, ბიუროს მიაწოდოს შეფასება და აღნიშნულზე დაყრდნობით ბიურომ შეადგინოს და გამოაქვეყნოს რეიტინგი. თუმცა, ვინაიდან საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციისთვის სამართლებრივი ბაზის გამართვა მესამე კვარტალში დასრულდა, სამდივნო საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ რეიტინგის შექმნასა და მის გამოქვეყნებას რეფორმის სამოქმედო გეგმის განხორციელების შემდგომ ეტაპზე ელოდება.

რაც შეეხება **ანგარიშვალდებულების** ქვეთავს, როგორც სამდივნოს ხელმძღვანელმა განმარტა ეს მიმართულება საანგარიშო პერიოდში მხოლოდ ღია მმართველობის კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავების აქტივობას მოიაზრებდა. საანგარიშო პერიოდში მომზადდა სტრატეგიის სამუშაო ვერსია, პროცესი დაძრულია და მთავრობის ადმინისტრაცია აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით.

სამდივნოს ხელმძღვანელის თქმით, **სახელმწიფო სერვისების მიწოდების** მიმართულებით, შეფასდა სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებული ვალდებულებები. კერძოდ, სამდივნოს მიერ ნაწილობრივ შესრულებულად შეფასდა სახელმწიფო სერვისების შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განფასების პოლიტიკის დოკუმენტის განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან წარდგენის ვალდებულება რადგანაც მონიტორინგის პერიოდისთვის დარჩენილი იყო კონსულტაციების ბოლო ორი ეტაპის (ყველა საჯარო უწყებასთან და სამოქალაქო საზოგადოების წევრებთან) განხორციელება. რაც შეეხება მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ვალდებულებებს - სამდივნოს ხელმძღვანელის თქმით, ნაწილობრივ შესრულებულად შეფასდა My.gov.ge-ს გამოყენების შესახებ ტრენინგების ჩატარების შესახებ აქტივობის შედეგის ინდიკატორი, რადგან 4 სამიზნე ჯგუფიდან, საანგარიშო პერიოდში მხოლოდ 3 სამიზნე ჯგუფი გადამზადდა. ქეთი ცანავას თქმით, სამდივნომ შეუსრულებლად მიიჩნია კიბერუსაფრთხოების საბაზისო სატრენინგო მასალების განახლების ვალდებულება, ვინაიდან საანგარიშო პერიოდში არ განახლებულა სატრენინგო მასალების სულ მცირე 50%. როგორც სამდივნოს ხელმძღვანელმა განაცხადა, სახელმწიფო სერვისების მიწოდების მიმართულებაში საანგარიშო პერიოდის მნიშვნელოვანი მიღწევაა სსიპ - იუსტიციის სახლში საერთო შეფასების ჩარჩოს (CAF)

დანერგვა, რომელიც ევროკავშირში შექმნილ და აპრობირებულ ხარისხის მართვის საერთაშორისო მექანიზმს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ თითოეული ქვეთავის მიმოხილვის დასასრულს, სამდივნოს ხელმძღვანელმა საბჭოს წევრებსა და მოწვეულ სტუმრებს წარმოუდგინა ინფორმაცია, თუ როგორ შეფასდა სამდივნოს მიერ საანგარიშო პერიოდში თითოეული აქტივობის შედეგის ინდიკატორის შესრულება და რა ეტაპებია დარჩენილი, რათა ინდიკატორი სრულად შესრულებულად ჩაითვალოს.

სამდივნოს ხელმძღვანელმა ზოგადად მიმოიხილა **საჯარო ფინანსების მართვისა** და **ადგილობრივი თვითმმართველობის** კომპონენტებში პასუხისმგებელი უწყებების მიერ შესრულებული საქმიანობა და აღნიშნა, რომ ორივე მიმართულებაში სახეზეა პროგრესი.

ქეთი ცანავას განცხადებით, სამდივნო ცდილობს გაზარდოს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა როგორც გეგმის შემუშავების ეტაპზე, ასევე მონიტორინგის პროცესშიც. სამდივნოს ხელმძღვანელმა საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია იმ აქტივობის შედეგის ინდიკატორების შესახებ, რომელთა რეიტინგი სამდივნოს მხრიდან შეიცვალა სამოქალაქო საზოგადოების წევრების შენიშვნებისა და კომენტარების საფუძველზე, რომელიც სამდივნოს მიერ შესაბამისი დადასტურების წყაროებით გადამოწმდა.

ქეთი ცანავამ საბჭოს წევრებს წარუდგინა ის ძირითადი გამოწვევებიც, რაც მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა. სამდივნოს ხელმძღვანელის თქმით, განხორციელების პროცესი შემდეგმა გამოწვევებმა შეაფერხა: დაგეგმვის პროცესში განხორციელების ვადების არასწორად განსაზღვრა, ადამიანური რესურსის ნაკლებობა და რიგ შემხვევებში, აქტივობათა დუბლირება.

დასასრულს, პროცესის გაუმჯობესების მიზნით, ქეთი ცანავამ შეაჯამა სამდივნოს რეკომენდაციები, რომელიც მოიცავს გეგმის შემუშავების ეტაპზე აქტივობათა მოცულობის დეტალურ შეფასებას, დაგვიანებული აქტივობებისთვის შესრულების ახალი თარიღების განსაზღვრასა და გეგმის შემუშავების ეტაპზე აქტივობათა დუბლირების გამორიცხვას.

საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის პროგრეს ანგარიში (2019 წლის IV კვარტალი) - II ნაწილი

⇔ სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესი სექტემბერი-დეკემბრის მდგომარეობით - პასუხისმგებელი უწყებები

სამდივნოს მიერ საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის პროგრეს ანგარიშის განხილვის შემდეგ, პასუხისმგებელმა უწყებებმა წარადგინეს 2019 წლის ოქტომბერ-დეკემბერში მიღწეული პროგრესი აქტივობის შედეგის ინდიკატორების შესრულებასთან მიმართებით.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, მინისტრის მოადგილე - მზია გიორგობიანი:

მინისტრის მოადგილის განცხადებით, სამოქმედო გეგმით განსაზღვრული იყო დეცენტრალიზაციის 2020-2026 წლების სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობითა და აქტიური ჩართულობით შემუშავდა და 2019 წლის ბოლოს დამტკიცდა ორწლიან (2020-2021) სამოქმედო გეგმასთან ერთად. სტრატეგიის შემუშავების საწყის ეტაპზე სამინისტრომ ღია განაცხადი გაავრცელა

დაინტერესებული მხარეების მოწვევასთან დაკავშირებთ. გარდა ამისა, დამატებით გაიგზავნა მოსაწვევები იმ საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც აღნიშნულ საკითხებზე წლებია აქტიურად მუშაობენ. შედეგად, შეიქმნა 3 სამუშაო ჯგუფი, რომელშიც დაახლოებით 80 პირი იყო ჩართული, მათ შორის, სახელმწიფო სტრუქტურები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები. მინისტრის მოადგილის განცხადებით, სტრატეგიის განხორციელების ეტაპზეც შენარჩუნდება აღნიშნული 3 სამუშაო ჯგუფი, რათა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები სამუშაო ჯგუფებთან უწყვეტი კომუნიკაციისა და კონსულტაციის ფარგლებში, ექსპერტების უშუალო ჩართულობით მიმდინარეობდეს.

მუნიციპალურ დონეზე ელექტრონული სერვისების დანერგვასთან დაკავშირებით, მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო იუსტიციის სამინისტროსთან ერთად, უკვე განხორციელებული ქმედებების შემავსებელ ეტაპზე გადადის, რაც თბილისის მერიისათვის ხელმისაწვდომი ელექტრონული სერვისების ყველა მუნიციპალიტეტში დანერგვას გულისხმობს. მისი თქმით, სამოქმედო გეგმით განსაზღვრული 17 მოდულის შემუშავების გარდა, შემფასებელი მისიის მიერ პირველ 21 მუნიციპალიტეტში უკვე შეფასდა არსებული შიდა ელექტრონული სერვისები.

ამასთან, მზია გიორგობიანის თქმით, სერვისების მიწოდების ნაწილთან ერთად სამინისტრო იმუშავებს სერვისის ხარისხის გაუმჯობესებაზეც. მაგალითად, მოქალაქეს შესაძლებლობა ექნება, ნებისმიერი ადგილიდან, სახლიდან გაუსვლელად, აიღოს სამშენებლო ნებართვა. პირველი ეტაპისთვის სერვისების მიწოდება განხორციელდება ადმინისტრაციულ ცენტრებში, ხოლო დროთა განმავლობაში თითოეული დასახლების დონეზე. მისი განცხადებით, სერვისების დანერგვისათვის საჭიროა ადეკვატური ინფრასტრუქტურის მოწყობაც, შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით, რაზეც სამინისტრო აქტიურად მუშაობს.

მზია გიორგობიანმა მადლობა გადაუხადა პარტნიორებს აქტიური მხარდაჭერისთვის და იმედი გამოთქვა, რომ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესშიც ანალოგიურ რეჟიმში გაგრძელდება მათთან თანამშრომლობა.

სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, თავმჯდომარე - ზურაბ სანიკიძე:

ზურაბ სანიკიძემ მადლობა გადაუხადა არასამთავრობო სექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, მათ შორის UNDP-სა და USAID-ის კარგი მმართველობის ინიციატივის (GGI) პროექტს თანამშრომლობისათვის.

სააგენტოს თავმჯდომარის განმარტებით, სერვისების შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფის და განფასების პოლიტიკის საბოლოო დოკუმენტის შემუშავებასთან მიმართებით 2019 წლის III კვარტლისთვის დარჩენილი იყო ორი კომპონენტი, დოკუმენტის ერთი მხრივ - საჯარო სექტორთან, ხოლო მეორე მხრივ - არასამთავრობო სექტორთან წარდგენა. ზურაბ სანიკიძის განცხადებით, დღევანდელი მდგომარეობით, ორივე კომპონენტი შესრულებულია: დოკუმენტი წარედგინა საჯარო სექტორს და 2 კვირის წინ გაიგზავნა არასამთავრობო სექტორთანაც.

რაც შეეხება სერვისების შექმნის კომპონენტს, სანიკიძის თქმით, ამ დროისათვის შემუშავების პროცესშია სერვისების შექმნის სახელმძღვანელო, რომლის შექმნისთანავეც დაიწყება შესაბამისი ტრენინგ მოდულის მომზადება, რითაც ეს კომპონენტი სრულად შესრულდება. სერვისების მიწოდების ნაწილშიც სააგენტო თანამშრომლობს ადგილობრივ ექსპერტთან სერვისების მიწოდების სახელმძღვანელოს შექმნაზე, რომელზე დაყრდნობითაც მომზადდება შესაბამისი ტრენინგ მოდული. გარდა ამისა, სერვისების მიწოდების ნაწილი ითვალისწინებს ასევე განსახორციელებელი ცვლილებების საკანონმდებლო პაკეტის მომზადებას, რომლის

შემუშავებაშიც ასევე ადგილობრივი ექსპერტები არიან ჩართულნი. ზურაბ სანიკიძის თქმით, სერვისების ხარისხის უზრუნველყოფის კომპონენტში უკვე შემუშავებულია სერვისების ინდექსის კონცეფცია. მნიშვნელოვანი მიღწევაა, რომ მომზადდა საერთო შეფასების ჩარჩო (CAF) და ის უკვე დანერგილია სსიპ - იუსტიციის სახლში. რაც შეეხება სერვისების განფასებას, საერთაშორისო ექსპერტი მუშაობს ერთიან მეთოდოლოგიაზე და ტრენინგ მოდულზე.

სააგენტოს თავმჯდომარის თქმით, თითოეული კომპონენტი რჩება სერვისების განვითარების სააგენტოს პრიორიტეტად და გაგრძელდება მუშაობა დარჩენილი აქტივობების განსახორციელებლად.

სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო, თავმჯდომარე - ნიკოლოზ გაგნიძე:

ნიკოლოზ გაგნიძის განმარტებით, სააგენტოს ვალდებულებები ქონდა სამი ძირითადი მიმართულებით: ღია მონაცემების პორტალის განახლება, MY.GOV.GE-ის ხელმისაწვდომობის ზრდა, კრიტიკული ინფორმაციული სისტემების მდგრადობის უზრუნველყოფა და მათი უსაფრთხოების ზრდა.

სააგენტოს თავმჯდომარის თქმით, MY.GOV.GE-ზე უფრო მეტი სერვისის ინტეგრაციისთვის გათვალისწინებული აქტივობები ამ ეტაპისთვის სრულად შესრულებულია. პორტალზე 500-ზე მეტი ელ. სერვისია განთავსებული და განკუთვნილია როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისათვის. 2019 წელს შესაძლებელი გახდა, ფიზიკურ პირს (რეგისტრაციის გასვლისა და შესაბამისი უფლებამოსილების ქონის შემთხვევაში) ავტომატურად ემოქმედა იურიდიული პირის სახელითაც და გამოეყენებინა შესაბამისი სერვისები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი სიახლე იყო ელ. დოკუმენტის მიწოდება, რაც გულისხმობს იუსტიციის სახლებში გაკეთებული განაცხადის საფუძველზე მოთხოვნილი დოკუმენტის my.gov.ge-ის საშუალებით მიღებას. გაგნიძის განმარტებით, აღნიშნული სერვისით მოქალაქეებმა 30 000-ჯერ ისარგებლეს იანვრის განმავლობაში, აქედან 14 000-მდე შემთხვევა უკავშირდებოდა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დოკუმენტზე წვდომას. მისი თქმით, პორტალს თანდათან დაემატება სხვა უწყებების მიერ გასაცემი დოკუმენტები, რაც გაზრდის my.gov.ge-ს პოპულარობას.

ნიკოლოზ გაგნიძემ პრეზენტაციისას ისაუბრა მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ვალდებულებების შესრულების მდგომარეობაზე და აღნიშნა რომ, My.gov.ge-ის მხედველობა დაქვეითებული მომხმარებლებისათვის ადაპტირება უკვე დასრულებულია და გაშვებულია რეალურ რეჟიმში; My.gov.ge-ზე სერვისების გამოყენების სასწავლო ინსტრუქციები შემუშავების ეტაპზეა (გადის ტესტირებას). სტანდარტული ვიდეო-ინსტრუქციის ნაცვლად, პორტალი მომხმარებელს ინტერაქტიული დახმარების ფუნქციას შესთავაზებს; ასევე, მიმდინარეობს მომხმარებლებთან უკუკავშირის მექანიზმების დახვეწა. პროცესი არასაკმარისმა ადამიანურმა რესურსმა (IT სპეციალისტების არასათანადო რაოდენობა) შეაფერხა; რაც შეეხება, პორტალის გამოყენების თაობაზე ცნობიერების ამაღლების აქტივობებს, ეს კომპონენტი სრულად შესრულებულია. შეხვედრები ჩატარდა, როგორც რეგიონებში ასევე ქალაქში, სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებთან.

გაგნიძის თქმით, ბრიტანეთის საელჩოს დახმარებით, განხორციელდა კრიტიკული უსაფრთხოების სუბიექტების ნაწილისთვის მათი შერჩევის მეთოდოლოგიის შემუშავება. მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით შეიქმნა პორტალი, რომელზეც განთავსდა კითხვარი ორგანიზაციებისთვის. კითხვარის შეფასების შედეგად, გაჩნდა ახალი კრიტიკული სისტემის სუბიექტების სია, რომელიც მოიცავს კერძო სექტორსაც.

სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო, უფროსი - ეკატერინე ქარდავა:

ბიუროს უფროსმა ისაუბრა საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის პროცესში დროის სიმცირიდან გამომდინარე არსებულ შეფერხებებზე. მისი განცხადებით, აკრედიტაციის

პროცესი აქტიურად დაიწყო სექტემბრის შემდეგ. შეიქმნა აკრედიტაციის საბჭო, რომელშიც მოწვეული არიან ექსპერტები და ადამიანური მართვის სამსახურის წარმომადგენლები. 2019 წლის მეოთხე კვარტალში 5 პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია. ნოემბრის ბოლოდან დაიწყო აკრედიტებული პროგრამების განხორციელება.

ეკატერინე ქარდავას განცხადებით, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო რეფორმის ფარგლებში საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების ხარისხის კონტროლის მექანიზმის შემუშავება და დანერგვა. აღნიშნულმა, აამაღლა საჯარო მოხელეთა მოტივაცია. ამასთან, ქარდავას თქმით, ხარისხის კონტროლის მექანიზმმა ცხადყო, რომ იგი საჭიროა არა მხოლოდ საბაზისო, არამედ სხვა პროგრამებთან მიმართებითაც.

ბიუროს განმარტებით, არსებული პროგრამების რეიტინგები 2019 წლის მესამე კვარტლისათვის არ იყო ხელმისაწვდომი, რადგან იმ დროისთვის არცერთი ტრენინგი არ იყო ჩატარებული. თუმცა, დღევანდელი მონაცემებით, უკვე არსებობს 4 პროგრამის რეიტინგი. ამასთან, ქარდავას განმარტებით, ბიურომ დაიწყო მსჯელობა აკრედიტებული პროგრამებისთვის რეიტინგის მინიჭების მეთოდოლოგიის კიდევ უფრო დახვეწაზე.

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტი „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდასაჭერად“, პროექტის ექსპერტი - ბლანკა ლასარო:

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროექტის გუნდისთვის მნიშვნელოვანი იყო სხვადასხვა მიმართულებებით ექსპერტების შერჩევა. ამ ეტაპზე პროექტის მუდმივ გუნდს უკვე შეუერთდა ოთხი ექსპერტი: პოლიტიკის დაგეგმვის, კომუნიკაციების, განათლების და ჯანდაცვის პოლიტიკის საკითხებში.

ბლანკა ლასაროს თქმით, პოლიტიკის დაგეგმვის მიმართულებით, ექსპერტი უკვე აქტიურად მუშაობს საჯარო დაწესებულებების შესაბამის დეპარტამენტებთან. მზადდება საბაზისო კვლევის ანგარიში, რომლის მიზანია პოლიტიკის დაგეგმვის არსებული პრაქტიკის თავისებურებების გამოკვეთა და საჭიროებების იდენტიფიცირება. აღნიშნული კვლევის საფუძველზე დაიგეგმება პროექტის ძირითადი აქტივობები პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის გაძლიერების მიმართულებით.

რაც შეეხება სექტორულ პოლიტიკას, ექსპერტის თქმით, ამ მიმართულებით ორი უფროსი საერთაშორისო ექსპერტი მუშაობს. კერძოდ, პროექტი ჯანდაცვის სამინისტროს ეხმარება ეროვნული ჯანდაცვის სტრატეგიის შემუშავებაში, ხოლო განათლების სამინისტროს - შესაბამისი სტრატეგიების შემუშავების პროცესში და ასევე, პოლიტიკის მთლიანი ციკლის განხორციელების გაძლიერებაში.

ექსპერტის განცხადებით, პროექტის ფარგლებში მნიშვნელოვანი მიღწევა იყო მთავრობის ადმინისტრაციასა და იუსტიციის სამინისტროსთვის რეგულირების ზეგავლენის შეფასების დანერგვის მიზნით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებაში დახმარება. ამასთან, ანტიკორუფციული მიმართულებით, პროექტის გუნდი დაეხმარა ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს ანტიკორუფციული სტრატეგიისა და ასევე, კორუფციული რისკების შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავების ეტაპებზე.

რაც შეეხება საჯარო სამსახურის და ადამიანური რესურსების მიმართულებას, ამ ნაწილში საჯარო სამსახურის ბიუროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, გასული წლის დასაწყისში ჩატარდა საბაზისო კვლევა, რომლმაც გამოკვეთა საჭიროებები და პრიორიტეტები. ჩატარდა არაერთი ტრენინგი და ვორქშოფი. ექსპერტის განმარტებით, ამ ეტაპზე, ბიუროსთან თანამშრომლობით დაწყებულია მუშაობა სტრატეგიული მიდგომის ჩამოყალიბებაზე. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია იმ საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების გაზრდა, რომლებიც ვალდებულნი არიან შეავსონ ქონებრივი დეკლარაციები.

ბლანკა ლასაროს თქმით, პროექტის გუნდი ელოდება ღია მმართველობის საბჭოს შექმნას, რათა ამ მიმართულებითაც აქტიურად ჩაერთონ პროცესებში. პროექტის გუნდის სახელით, ექსპერტმა ყველა მხარეს მადლობა გადაუხადა თანამშრომლობისათვის.

⇔ კითხვა-პასუხი

საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელმა, კოლომბ დე მერსიმ, *სსიპ-ების შესახებ ახალი კანონის შემუშავებასთან დაკავშირებით დასვა შეკითხვა და დაინტერესდა კონკრეტულად რა ეტაპზეა ახლა პროექტის მომზადების პროცესი.*

საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსმა, ეკატერინე ქარდავამ განმარტა, რომ კანონის შემუშავების პროცესი უწყვეტად მიმდინარეობდა 2019 წელს. ამასთან, აღნიშნა, რომ საკითხი კომპლექსურია, თუმცა, ბიუროს მიერ ჩატარებული პირველადი ანალიზის საფუძველზე, მომზადებულია კანონში შესატანი ცვლილებების პროექტის სამუშაო ვერსია. ქალბატონმა ქარდავამ აღნიშნა, რომ 2019 წლის ნოემბერ-დეკემბერში 3 სამუშაო შეხვედრა შედგა, რომლებმაც ცხადყო, რომ ამ ეტაპზე ცვლილებების პროექტი კვლავ საჭიროებს დახვეწას: საჭიროა დამატებითი კონსულტაციები ვიდრე დოკუმენტი საჯაროდ განიხილება. ბიუროს უფროსმა განმარტა, რომ მიმდინარეობს შეხვედრების ფარგლებში მიღებული კომენტარებისა და შენიშვნების დამუშავებ, პროცესი არ გაჩერებულა და შიდა დისკუსიები და განხილვები უწყვეტად გრძელდება.

საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელი, კატალინ გერმანი *მუნიციპალური სერვისების მიწოდების არსებული სტრატეგიითა და ახალ მოდელზე გადასვლის საკითხით დაინტერესდა. ბატონმა გერმანმა ასევე დასვა შეკითხვა საზოგადოებრივი ცენტრების გახსნასთან დაკავშირებით. დელეგაციის წარმომადგენელმა მიულოცა კოლეგებს დეცენტრალიზაციის სტრატეგიის დამტკიცება და აღნიშნულ კონტექსტში ორ სტრატეგიას შორის ურთიერთმიმართებით დაინტერესდა (ერთი მხრივ, საპილოტე ინტეგრირებული რეგიონების განვითარების პროგრამა (2020-2022) და მეორე მხრივ, დეცენტრალიზაციის 2020–2025 წლების სტრატეგია)*

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარემ, ზურაბ სანიკიძემ აღნიშნა, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო სერვისების გადაცემის პროცესშია და უზრუნველყოფს, რომ სერვისის მიწოდების ნაწილში პრობლემა არ შეიქმნას. მან ასევე განმარტა, რომ საზოგადოებრივი ცენტრები გადაეცა სსიპ - იუსტიციის სახლს. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ როგორც სერვისების განვითარების სააგენტო, ასევე იუსტიციის სახლი იუსტიციის სამინისტროს სსიპ-ებია და ერთი მმართველობის ქვეშაა, შიდა კოორდინაცია მარტივად წარიმართება და პროცესი არ შეფერხდება. ბატონმა სანიკიძემ აღნიშნა, რომ უკვე აშენებული საზოგადოებრივი ცენტრები 1 იანვრიდან იუსტიციის სახლს გადაეცა, ხოლო მიმდინარე მშენებლობები დონორების ნაწილობრივი დახმარებით მალე დასრულდება და შემდეგ მოხდება მათი გადაცემა. რაც შეეხება გახსნის თარიღებს, აღინიშნა, რომ ყველაფერი ვადების დაცვით მიმდინარეობს.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ევროინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსმა, დავით კალატოზიშვილმა დეცენტრალიზაციის 2020–2025 წლების სტრატეგიისა და საპილოტე ინტეგრირებული რეგიონების განვითარების პროგრამის (2020-2022) ურთიერთ მიმართებასთან დაკავშირებით დაამატა, რომ აღნიშნული დოკუმენტები საკმაოდ განსხვავებულია ერთმანეთისაგან. საპილოტე ინტეგრირებული რეგიონების განვითარების პროგრამის ფარგლებში, კონკურსის დონეზე მოხდება პროგრამების განხორციელება. ამ კონტექსტში მუნიციპალიტეტები ერთმანეთთან შევლენ კონკურენციაში პროგრამებისთვის შესაბამისი დაფინანსების მოპოვების კუთხით. კალატოზიშვილის თქმით, ერთ-ერთ სავარაუდო პრიორიტეტად და პროგრამად შესაძლოა განხილულ იქნეს ელ. პროგრამების

განვითარების საკითხი. მან განმარტა, რომ თუ მუნიციპალიტეტების მხრიდან იქნება სურვილი, რომ ამ სახის პროექტები დაფინანსდეს, სამინისტრო ყველანაირად ეცდება მხარი დაუჭიროს ამ პროცესს. კალატოზიშვილმა აღნიშნა, რომ სამინისტროს ხედვით, ეს იქნება ერთ-ერთი ძირითადი ბმა ორ დოკუმენტს შორის.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარემ, ნიკოლოზ გაგნიძემ აღნიშნა, რომ მიაჩნია, მუნიციპალური სერვისები აუცილებელია ინტეგრირდეს ელ. სერვისების ერთიან პორტალზე MY.GOV.GE-ზე. ბატონმა გაგნიძემ განმარტა, რომ დღეს მოქმედი MMS სერვისები უკვე ინტეგრირებულია და ამ სისტემის ახლით ჩანაცვლების შემდგომ, აღარ იქნება ხელმისაწვდომი. ბატონმა ნიკამ დაამატა, რომ სასურველია, ეს პროცესი ისე დაიგეგმოს, რომ მოქალაქეებს არ შეუწყდეთ ელ. სერვისებზე ხელმისაწვდომობა.

იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ, მიხეილ სარჯველაძემ დაამატა, რომ MY.GOV.GE-ის პორტალზე დღეს ინტეგრირებული სერვისების პოპულარობა თანდათან იზრდება. ეს მზარდი დინამიკა აჩვენებს პოტენციალს, რომ მოქალაქეთა მხრიდან ამ სერვისებით დაინტერესება მზარდია და ამის გათვალისწინებით, ამ რესურსის გამოყენება - კრიტიკულად მნიშვნელოვანი.

ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი (IRC), დირექტორმა, გიორგი გაბრიელაშვილმა *დასვა შეკითხვა ე.წ MMS სისტემის ახალი სისტემით სრულად ჩანაცვლებასთან დაკავშირებით. იგი დაინტერესდა დასაბუთებით, თუ რატომ იქნა ეს გადაწყვეტილება მიღებული და რამდენად იყო ის მტკიცებულებებზე დაფუძნებული. ბატონი გაბრიელაშვილი დაინტერესდა ხომ არ გახდა ცვლილების მიზეზი ის, რომ MMS ვერ უზრუნველყოფდა დაკისრებული ამოცანების შესრულებას. IRC-ის დირექტორი ასევე შეეხო სამდივნოს მიერ წარდგენილ გამოწვევებსა და რეკომენდაციებს და აღნიშნა, რომ ისინი შეიძლებოდა უფრო სიღრმისეული ყოფილიყო. ბატონმა გაბრიელაშვილმა რიგი პროცესების ვადების გადაცილებაზეც დასვა შეკითხვა და მაგალითად მოიყვანა სერვისების მიწოდების ერთიანი პოლიტიკის შექმნა.*

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსმა, ანა კვერნაძემ აღნიშნა, რომ სამდივნომ სხდომაზე წარადგინა პროგრეს ანგარიში, რომელიც არ შედის სიღრმეებში და განიხილავს მხოლოდ რა ეტაპზეა აქტივობების შესრულება. თუმცა, წლიური ანგარიში და შეფასება ყველა კითხვას სიღრმისეულად უპასუხებს და ჩაშლილად წარმოადგენს სხვადასხვა ელემენტს.

სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარემ, ზურაბ სანიკიძემ დაამატა, რომ იმაზე საუბარი, თუ რატომ გაიწელა სერვისების ერთიანი პოლიტიკის შემუშავების პროცესი, დიდ დროს წაიღებს. მან აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე უფრო მნიშვნელოვანია სამომავლო ხედვაზე მსჯელობა. ბატონმა სანიკიძემ აღნიშნა, რომ დოკუმენტი უკვე შემუშავებულია, დაინტერესებულ მხარეთა მაღალი ჩართულობით. მან კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ორი კვირის წინ დოკუმენტი კომენტარებისთვის გაეგზავნა არასამთავრობო ორგანიზაციებს და მათ აქტიური ჩართულობისკენ მოუწოდა, ვინაიდან ამ ეტაპამდე გამოხმაურება არ ყოფილა. ბატონმა სანიკიძემ აღნიშნა, რომ საკონსულტაციო პროცესის დასრულებას მოყვება ცნობიერების ამაღლების კომპონენტი და საბოლოოდ, თითოეული სერვისის ამ დოკუმენტზე დაშენება და მისი პრაქტიკაში დანერგვა.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ, მიხეილ სარჯველაძემ აღნიშნა, რომ ნებისმიერი დოკუმენტი საბოლოო ჯამში იმ მთავარ დანიშნულებას უნდა ემსახურებოდეს, რისთვისაც ის არის გათვალისწინებული და არც ერთ შემთხვევაში, თვითმიზანი არ უნდა იყოს დოკუმენტის მიღება. მან განმარტა, რომ ვადებთან დაკავშირებით, უმრავლეს შემთხვევაში, აუცილებელია კორელაცია გაკეთდეს სხვა მიმდინარე პროცესებთან. მაგალითად, იგივე დეცენტრალიზაციის სტრატეგიის შემუშავების პროცესთან,

რომლის ფარგლებში გამოიკვეთა და გადაიკვეთა არაერთი საკითხი, რამაც ბუნებრივია, გავლენა იქონია პროცესზე.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ევროინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსმა, დავით კალატოზიშვილმა დაამატა, რომ არსებობს დასაბუთება თუ რატომ გახდა საჭირო MMS-ის ჩანაცვლება. მან მაგალითად მოიყვანა გარემოება, რომლის მიხედვით ამ სისტემის ოპერირებისთვის საჭირო იყო გარე და გაცილებით მეტი რესურსის დახარჯვა, ვიდრე ეს ახალი სისტემის (MSDA) შემთხვევაში იქნება საჭირო. მან ასევე აღნიშნა, რომ ჩატარებული კვლევის თანახმად MMS გამოიყენებოდა მხოლოდ 5 მუნიციპალიტეტში და ვერ ფარავდა ყველა იმ მოდულს, რომელიც ახლა MSDA-ის ფარგლებში იქნება ხელმისაწვდომი.

აქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ, მიხეილ სარჯველაძემ შესწორება შეიტანა და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტების რაოდენობა, რომელიც MMS-ში იყო ჩართული არის 55. მან ასევე დაამატა, რომ აღნიშვნის ღირსია, აქ მყოფი ბევრი ადამიანს დიდი ენერგია, დრო და ფინანსური რესურსი, რომელიც ამ პროგრამის დანერგვაში ჩაიდო.

USAID/GGI-ის წარმომადგენელმა, ლევან სამადაშვილმა *დასვა შეკითხვა სსიპ-ების საკითხთან დაკავშირებით და ამ თემაზე მთავრობის ადმინისტრაციის პოზიციით დაინტერესდა. მან აღნიშნა, რომ თანამშრომლობა აქტიურად მიმდინარეობს საჯარო სამსახურის ბიუროსთან, თუმცა, განვითარების ამ ეტაპზე საინტერესოა პოლიტიკური მზაობის საკითხი. ბატონი სამადაშვილი ასევე დაინტერესდა ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობის მიღების საკითხზე მთავრობის ადმინისტრაციის პოზიციით.*

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა, ნათია მეზვრიშვილმა ადმინისტრაციის სახელით დაადასტურა, რომ სსიპ-ების საკითხი დღის წესრიგშია. მან დაამატა, რომ ადმინისტრაციას ცოტა დრო ჰქონდა დეკემბერში ამ საკითხის დასასრულებლად. ქალბატონმა მეზვრიშვილმა აღნიშნა, რომ ბიურომ ამ მიმართულებით დიდი შრომა გასწია. მან იქვე განმარტა, რომ პოლიტიკური ნება არსებობს და უახლოეს პერიოდში, მთავრობის ადმინისტრაცია და საპარლამენტო მდივანი ამ მიმართულებით განაახლებენ მუშაობას.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსმა, ანა კვერნაძემ კომენტარი გააკეთა ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით და ამ შემთხვევაშიც დროის სიმცირეზე გაამახვილა ყურადღება. მან განმარტა, რომ აღნიშნული ვალდებულება მთავრობის ადმინისტრაციას 2019 წლის ოქტომბერში გადმოეცა. შესაბამისად, აუცილებელი იყო საკითხის სიღრმისეულად შესწავლა, რაც თავის მხრივ დროს მოითხოვს. კვერნაძემ აღნიშნა, რომ საკითხი დღის წესრიგშია და დაწყებულია კანონპროექტის არსებული რედაქციის გადახედვა. მან ასევე დაამატა, რომ გამოიკვეთა დამატებითი კვლევის საჭიროება რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით და შესაძლოა ადმინისტრაციამ მხარდაჭერის თხოვნით მიმართოს USAID-ს აღნიშნულთან დაკავშირებით.

საჯარო მმართველობის რეფორმის ახალი სტრატეგიის შემუშავება - მიდგომა და საწყისი პოზიციები

⇔ სტრატეგიის შემუშავების კალენდარი

საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს სამდივნომ მონაწილეებს გააცნო საბჭოს ხედვა ახალი სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებების კუთხით. სამდივნომ ხაზი გაუსვა პროცესში SIGMA-ს ექსპერტთა ჩართულობის მნიშვნელობას, რომლებთან აქტიური თანამშრომლობით იგეგმება რეფორმის

მორიგი ტალღის მომზადება. სამდივნოს მხრიდან აღინიშნა, რომ პრიორიტეტულია რეფორმის ექვსივე მიმართულების შენარჩუნება.[3] ასევე, რეფორმის 2021-2024 წლების სტრატეგიის შემუშავების პროცესში იგეგმება ექვსივე მიმართულების დაკავშირება მიმდინარე მსხვილ, მათ შორის, განათლებისა და ჯანდაცვის რეფორმებთან, რათა გზამკვლევი იყოს პრაქტიკული და ხელშესახები შედეგების მომტანი.

PAR სამდივნომ საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო ახალი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების კალენდარი, რომელიც SIGMA-ს ექსპერტებთან თანამშრომლობით მომზადდა. კონკრეტულად:

თებერვალი - მარტი

PAR 2019-2020 წწ. სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადება

- ⇒ მონაცემთა შეგროვება
- ⇒ კონსულტაციები ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან
- ⇒ ანგარიშის საბჭოსთვის წარდგენა

აპრილი - მაისი

PAR 2021-2024 წწ. სტრატეგიის შემუშავების დაწყება

- ⇒ სიტუაციის აღწერა და პრობლემის ანალიზი
- ⇒ ხედვის, მიზნებისა და პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა საბჭოს წევრების ჩართულობით
- ⇒ რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების შეგროვება
- ⇒ საბჭოს ექპერტთა დონის სამუშაო ჯგუფის (ან/და თემატური სამუშაო ჯგუფების) შეხვედრები/ვორქშოფები
- ⇒ კონსულტაციები საჯარო უწყებებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, SIGMA-ს ექსპერტებთან

ივნისი - აგვისტო

- ⇒ სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების ინდიკატორების ჩამოყალიბება, მონაცემთა შეგროვება
- ⇒ სტრატეგიის პირველი სამუშაო ვერსიის ჩამოყალიბება
- ⇒ საჯარო კონსულტაციები (I რაუნდი)
- ⇒ სამოქმედო გეგმის შემუშავების დაწყება
- ⇒ საბჭოს ექპერტთა დონის სამუშაო ჯგუფის (ან/და თემატური სამუშაო ჯგუფების) შეხვედრები/ვორქშოფები
- ⇒ კონსულტაციები SIGMA-ს ექსპერტებთან

სექტემბერი - ოქტომბერი

- ⇒ სამოქმედო გეგმის აქტივობებისა და ინდიკატორების ჩამოყალიბება
- ⇒ საბჭოს ექსპერტთა დონის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა
- ⇒ საჯარო კონსულტაციები (II რაუნდი)

ნოემბერი

- ⇒ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსიაზე შეთანხმება
- ⇒ სამოქმედო გეგმის დეტალური ბიუჯეტის მომზადება

---

[3] (1) პოლიტიკის დაგეგმვა; (2) საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა; (3) ანგარიშვალდებულება; (4) სახელმწიფო სერვისების მიწოდება; (5) საჯარო ფინანსების მართვა; (6) ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება.

⇒ საბჭოს შეხვედრა (სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცება)

დეკემბერი

⇒ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცება მთავრობის მიერ

სამდივნომ განმარტა, რომ ახალი გზამკვლევისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში, საჯარო კონსულტაციების პირველი რაუნდი, რომელიც ივნისი-ივლისის პერიოდში იგეგმება, დაეთმობა სტრატეგიის პირველი ვერსიის, ხოლო შემოდგომას ჩანიშნული საჯარო კონსულტაციები - 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის განხილვას.

⇔ **რეკომენდაციები ახალი სტრატეგიის შემუშავებასთან დაკავშირებით**

OECD/SIGMA-ს უფროსმა პოლიტიკის მენეჯერმა და აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონალურმა მენეჯერმა, მარტინს კრიევინსმა საბჭოს წარუდგინა ახალი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში გასათვალისწინებელი რეკომენდაციები. პირველ რიგში, მან აღნიშნა პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს წესების შესრულების აუცილებლობა. მარტინ კრიევინსის თქმით, აღნიშნული დოკუმენტის მიღება არის დიდი წინგადადგმული ნაბიჯი საქართველოსთვის, რომელშიც ღვაწლი ბევრს მიუძღვის, განსაკუთრებით კი მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის პოლიტიკის დაგეგმვის სამმართველოს უფროსს, გიორგი ბობღიაშვილს. გარდა ამისა, SIGMA-ს მისიის წარმომადგენლის სამი რეკომენდაცია შეეხებოდა:

⇒ 2020 წლის საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევის შეფასებას;
⇒ რეფორმის პრიორიტეტების განსაზღვრაში მაღალი დონის გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ჩართულობას;
⇒ საჯარო მმართველობის რეფორმის საკითხებზე საზოგადოებასთან აქტიურ კომუნიკაციას.

მარტინს კრიევინსმა აღნიშნა, რომ ახალი სტრატეგიის ჯეროვნად დაგეგმვისთვის აუცილებელია, გავაანალიზოთ რეფორმის 2015-2020 წლების გზამკვლევის შემუშავებისას დაშვებული შეცდომები. ექსპერტის აზრით, ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს განხორციელების ვადების არასათანადოდ განსაზღვრა. აგრეთვე, ბატონმა კრიევინსმა ხაზი გაუსვა ახალი სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებების შეთანხმების ეტაპზე საბჭოს წევრთა ჩართულობის მნიშვნელობას, რათა მაღალ დონეზე გადაწყდეს ამა თუ იმ საკითხის რელევანტობა და არსებულ სიტუაციასთან შესაბამისობა. მარტინს კრიევინსის განცხადებით, ეს მნიშვნელოვანია, რათა ახალი სტრატეგიის პრიორიტეტები გამოხატავდეს როგორც პოლიტიკურ ნებას, ასევე ხელს უწყობდეს საქართველოს ევროპულ ინტეგრაციას. გარდა ამისა, ექსპერტმა აღნიშნა რომ რეფორმის მიმართ საზოგადოების ინტერესის გასაზრდელად აუცილებელია რეფორმის შინაარსზე, მნიშვნელობასა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის დამატებით ღირებულებაზე აქტიური კომუნიკაცია. ამ კუთხით, SIGMA-ს წარმომადგენელი მიესალმა არასამთავრობო ორგანიზაციების გაზრდილ წარმომადგენლობას საბჭოს სხდომაზე და მათ აქტიურად ჩართვას საჯარო მმართველობის რეფორმის იმპლემენტაციის პროცესში.

⇔ **PAR კომუნიკაციის სტრატეგია - მიმდინარე სამუშაო და სამომავლო გეგმები**

რეფორმის საბჭოს სამდივნომ მადლობა გადაუხადა SIGMA-ს მისიას და გაიზიარა გაჟღერებული რეკომენდაციები. სამდივნომ ხაზი გაუსვა სტრატეგიული კომუნიკაციის კუთხით აქტიური მუშაობის აუცილებლობას და მოკლედ შეაჯამა ამ მიზნით გადადგმული ნაბიჯები. აღინიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ გაერო-ს განვითარების პროგრამის 2019 წლის კვლევის მიხედვით საჯარო მმართველობის რეფორმას საჯარო მოხელეების 92%-ის მხარდაჭერა აქვს, მოქალაქეებსა და სამოქალაქო სექტორში რეფორმის

ცნობადობა ნაკლებია. სწორედ ამიტომ, UNDP-ის მხარდაჭერით მიმდინარეობს საჯარო მმართველობის რეფორმის კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც საბჭოს დაეხმარება დაგეგმოს კონკრეტული აუდიტორიისთვის გამიზნული ცნობიერების ამაღლების კამპანიები. გარდა ამისა, სამდივნო თანამშრომლობს ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტთან, რომელიც მხარს უჭერს სამინისტროებში სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტების წარმომადგენლების ქსელის შექმნას. ქსელი საჯარო მმართველობის რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შესახებ ღონისძიებებისა და სხვადასხვა ტიპის ინფორმაციული შეხვედრების ორგანიზებაზე იმუშავებს.

ევროკავშირის დელეგაციამ მადლობა გადაუხადა SIGMA-ს მისიას და მთავრობის ადმინისტრაციას გაწეული სამუშაოსთვის. დელეგაციამ დაგეგმილი სამუშაო კალენდარი შეაფასა, როგორც მიზანზე ორიენტირებული და რეალისტური. აგრეთვე, ხაზი გაუსვა რეფორმის გზამკლევის შეფასების აუცილებლობას. რეკომენდაცია სამდივნომ დადებითად შეაფასა და აღნიშნა, რომ SIGMA-სთან თანამშრომლობით გზამკვლევის შესრულების მიმოხილვის მეთოდოლოგიაზე მუშაობა უკვე დაწყებულია.

საჯარო მმართველობის რეფორმაში სამოქალაქო საზოგადოების როლი

⇔ **დისკუსია: გეგმები 2020 წლისთვის და შემდგომ - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რომლებიც მონაწილეობენ ევროკავშირის პროექტში - „PAR-ის მხარდაჭერა სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერების გზით“**

საჯარო მმართველობის რეფორმის სამდივნომ მადლობა გადაუხადა სამოქალაქო საზოგადოებას შეხვედრაში მონაწილეობისთვის და ევროკავშირს არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერებისთვის დაწყებული პროექტისათვის.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) წარმომადგენელმა, მარიამ მაისურაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან (GYLA) თანამშრომლობით IDFI გეგმავს საჯარო მმართველობის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაზრდასა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ალტერნატიული ანგარიშების მომზადებას. მარიამ მაისურაძემ აღნიშნა, რომ მათ უკვე მიიღეს სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ გამოთხოვილი ინფორმაცია მთავრობის ადმინისტრაციისგან. IDFI-ის თქმით, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისა და ჩართულობის გაზრდის საკითხი არაერთხელ წამოიჭრა სხდომაზე, როგორც საჭიროება. შესაბამისად, პარტნიორი ორგანიზაციები გეგმავენ, რომ პროექტის ფარგლებში რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობასთან ჩაატარონ ინფორმაციული შეხვედრები და იმედოვნებენ, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენლები ამ პროცესში აქტიურად ჩაერთვებიან. IDFI იმედს იტოვებს რომ ამ ეტაპზე არსებული წარმატებული თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება და საჯარო მმართველობის რეფორმის საკითხებზე საზოგადოების ინფორმირებულობას დიდი ყურადღება დაეთმობა, რაც ინიციატივების შემუშავების პროცესში მათ ჩართულობას უზრუნველყოფს.

ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრის (IRC) წარმომადგენელმა გიორგი გაბრიელაშვილმა დეტალურად მიმოიხილა IRC-ის მიმდინარე პროექტი, რომელიც საჯარო მმართველობის რეფორმაში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერებას ისახავს მიზნად. გიორგი გაბრიელაშვილის განცხადებით, ამ დრომდე არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი ნაწილისთვის PAR არ იყო მთავარი მიმართულება, რის გამოც რეფორმის გარშემო წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად დისკუსია ნაკლებად იმართებოდა. IRC-ის განმარტებით, მთავრობის ადმინისტრაციასთან და სხვა უწყებებთან კონსულტაციების გზით, მიმდინარეობს მუშაობა საერთო მეთოდოლოგიის შექმნაზე, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების

ორგანიზაციებს საშუალებას მისცემს შეაფასონ რეფორმის სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული აქტივობები.

ფონდი სოხუმის წარმომადგენელმა, ეკატერინე გამახარიამ ხაზი გაუსვა, რომ PAR-ის შესახებ არა მხოლოდ ნაკლებია სამოქალაქო საზოგადოებისა და მოქალაქეების ინფორმირებულობის დონე, არამედ მათ არ აქვთ საშუალება და მექანიზმები მოიძიონ ინფორმაცია და პროცესში ჩაერთონ. მან აღნიშნა, რომ ამ კუთხით, მნიშვნელოვანია ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტი, რომელიც საშუალებას იძლევა დიდი ქალაქების გარდა დაიფაროს მუნიციპალიტეტები და ამ დონეზეც გაძლიერდეს სამოქალაქო სექტორი. ფონდი სოხუმის წარმომადგენლის განცხადებით, პროექტის განხორციელებაში ჩართულია რაჭა-ლეჩხუმის, იმერეთისა და გურიის რეგიონში არსებული 16 არასამთავრობო ორგანიზაცია. ეკატერინე გამახარიას განმარტებით, პროექტის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების კვლევა და ამ საჭიროებებზე დაფუძნებული მუნიციპალური პროგრამების შემუშავება.

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) წარმომადგენელი, თამარ აბდალაძე მიესალმა საჯარო მმართველობის რეფორმაში ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხების ცალკე მიმართულებად გამოყოფას. თამარ აბდალაძემ აღნიშნა, რომ ასოციაციის ექსპერტები აქტიურად მონაწილეობდნენ დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგიის სამუშაო ჯგუფების შეხვედრებში. აგრეთვე, ევროკავშირის მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში, ორგანიზაცია ჩართულია საჯარო სერვისების მიწოდების მონიტორინგისა და შეფასების ელექტრონული სისტემის შემუშავებაში.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (GYLA) წარმომადგენელმა, სალომე საღარაძემ დადებითად შეაფასა სამოქალაქო სექტორის ჩართულობის უზრუნველყოფა საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს მუშაობაში. მან ყურადღება გაამახვილა სამოქალაქო საზოგადოების მოლოდინებზე და აღნიშნა, რომ ამ დრომდე რიგი მსხვილი რეფორმის განხორციელების შეფერხება არასამთავრობოთა იმედგაცრუებას იწვევდა. თუმცა, ასევე აღნიშნა, რომ სიტუაცია გარკვეულწილად შეიცვალა და სამოქალაქო საზოგადოებას გაუჩნდა მოლოდინი, რომ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან მათი ჩართულობის მხარდაჭერა უზრუნველყოფილი იქნება. სალომე საღარაძის თქმით, ორგანიზაცია აქტიურად მიიღებს მონაწილეობას PAR-ის იმპლემენტაციის პროცესში და აგრეთვე, IDFI-სთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფს რეგიონალური არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობას.

USAID/GGI-ის წარმომადგენელმა, ლევან სამადაშვილმა მადლობა გადაუხადა PAR-ის საბჭოს სამდივნოს გამორჩეული სხდომის ორგანიზებისთვის. მან აღნიშნა, რომ შეხვედრამ საინტერესოდ ჩაიარა, რადგან გაჟღერდა როგორც კრიტიკა და რეკომენდაციები, ასევე სახეზე იყო შინაარსიანი დისკუსია.

UNDP-ის პროექტის „საჯარო მმართველობის რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში“ წარმომადგენელმა, ნანა წიკლაურმა აღნიშნა, რომ მათთვისაც პრიორიტეტულია გადაწყვეტილების მიმღები პირების ჩართულობის გაძლიერება ახალი სტრატეგიის შემუშავების ეტაპზე, რათა გაიწეროს რეალისტური ამოცანები. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ეს მიმდინარე გზამკვლევის განხორციელების ეტაპზე გამოჩნდა, ადგილი ექნება ისეთ ხარვეზებს, რომელთა მიზეზიც დაგეგმვის პროცესის არასათანადოდ წარმართვაა. ნანა წიკლაურმა მაგალითად მოიყვანა საჯარო სერვისების მიწოდების სფერო, სადაც რეფორმის დაგეგმვის ეტაპზე გადაწყვეტილების მიმღებ პირთა მონაწილეობის ვერ უზრუნველყოფამ შეაფერხა დაგეგმილი ამოცანების გაწერილ ვადებში განხორციელება. მან ასევე გამოყო კომუნიკაციის ნაკლებობის საკითხი და აღნიშნა, რომ UNDP აქტიურად თანამშრომლობს მთავრობის ადმინისტრაციასთან საჯარო მმართველობის რეფორმის კომუნიკაციის სტრატეგიის ჩამოყალიბებაზე. აღინიშნა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა პროგრამის პრიორიტეტია, რომელიც დიდი ბრიტანეთის მთავრობის

მხარდაჭერით ხორციელდება - არაერთმა სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივამ მოიპოვა დაფინანსება და უკვე სახეზეა მნიშვნელოვანი ხელშესახები შედეგები. ნანა წიკლაურმა განაცხადა, რომ მსგავსი პროექტის განხორციელებას UNDP წელსაც აპირებს. ნანა წიკლაურმა ყურადღება გაამახვილა მუნიციპალური მართვის სისტემაზეც, რომელიც ევროკავშირის აქტიური მხარდაჭერით 55 მუნიციპალიტეტში განხორციელდა. მისი თქმით, სისტემის წარმატებული ფუნქციონირებისა და მუნიციპალიტეტების პოზიტიური უკუკავშირის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია იმ მიზეზების გახმოვანება, თუ რატომ ხდება მისი ახალი სისტემით ჩანაცვლება.

შეხვედრის დახურვა

საჯარო მმართველობის რეფორმის სამდივნომ მადლობა გადაუხადა სამოქალაქო საზოგადოებას და საერთაშორისო პარტნიორებს შეხვედრაში აქტიური მონაწილეობისთვის. აღინიშნა, რომ 2015 წელს პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში საქართველოს არ ჰქონდა ისეთი გამოცდილება, როგორიც მოცემულ ეტაპზე. შესაბამისად, მოლოდინია, რომ საჯარო მმართველობის რეფორმის მორიგი ტალღის პოლიტიკის დოკუმენტები საერთაშორისო სტანდარტის გათვალისწინებით იქნება შემუშავებული.

- **საბჭო შეთანხმდა შემდეგ საკითხებზე:**
- გამოქვეყნდება საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის 2019 წლის პირველი სამი კვარტლის პროგრეს ანგარიში;
- 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პასუხისმგებელი უწყებები სამდივნოს მიაწვდიან ინფორმაციას გეგმის აქტივობებისა და ამოცანების განხორციელების წლიური პროგრესის შესახებ 2020 წლის თებერვალში;
- 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში, 2021-2024 წლების საჯარო მმართველობის რეფორმის სტრატეგია და თანამდევი სამოქმედო გეგმა შემუშავდება რეფორმის სამდივნოს მიერ წარმოდგენილი კალენდრის შესაბამისად;
- 2021-2024 წლების საჯარო მმართველობის რეფორმის სტრატეგიაში უცვლელი დარჩება რეფორმის ექვსი ძირითადი მიმართულება;
- ევროკავშირის, SIGMA-ს, სამოქალაქო საზოგადოებისა და რეფორმის სამდივნოს მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები სრულად იქნება გათვალისწინებული საჯარო მმართველობის რეფორმის ახალი პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების პროცესში;
- საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების პროცესში უზრუნველყოფილი იქნება სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობა და მოქალაქეთა ინფორმირება;
- საბჭოს შეხვედრების ოქმები საჯაროდ იქნება ხელმისაწვდომი და ელექტრონულად გაეგზავნება საბჭოს წევრებს.

შეხვედრის დასასრულს, ნათია მეზვრიშვილმა მადლობა გადაუხადა სახელმწიფო უწყებებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებს შეხვედრაში მონაწილეობისთვის. ნათია მეზვრიშვილმა ასევე მადლობა გადაუხადა პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის თანამშრომლებს შეხვედრის ორგანიზებისთვის და როგორც მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, დაადასტურა რეფორმის განხორციელების პროცესში მაქსიმალური ჩართულობა. აგრეთვე, მან აღნიშნა, რომ რეფორმის განგრძობადობა არის მთავრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი, რაც ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა დონორთა კოორდინაციის ყოველწლიურ ფორუმზეც აღნიშნა. ნათია მეზვრიშვილმა დაადასტურა არსებული პოლიტიკური ნება და განაცხადა, რომ მთავრობის ადმინისტრაცია ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორების დახმარების იმედს იტოვებს.

საბჭოს შეხვედრას ესწრებოდნენ:

საჯარო დაწესებულებები:	
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	ნათია მეზვრიშვილი - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი; გიორგი სახოკია - პრემიერ-მინისტრის აპარატის უფროსი; ანა კვერნაძე - პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი; ქეთევან ცანავა - საჯარო მმართველობის სამმართველოს უფროსი; ანა ბარისაშვილი, დიანა ენდელაძე, ლილი ლეჟავა - საჯარო მმართველობის რეფორმის სამდივნო; გიორგი ბობღიაშვილი - პოლიტიკის დაგეგმვის სამმართველოს უფროსი.
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	მიხეილ სარჯველაძე, თამარ როსტიაშვილი
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	ნათია გულუა, ნატო მოკვერაშვილი
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	მზია გიორგობიანი, დავით კალატოზიშვილი
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	ვახტანგ მახარობლიშვილი, დავით ბუჯიაშვილი
სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	ზურაბ სანიკიძე, ეთერ ბურდული
სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო	ნიკოლოზ გაგნიძე
სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	ეკატერინე ქარდავა, ირინა აღაპიშვილი, მაკა თოქმაზიშვილი
სახელმწიფო აუდიტის სამსახური	ცოტნე ქარქაშაძე
სამოქალაქო საზოგადოება:	
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)	გიორგი კლდიაშვილი, მარიამ მაისურაძე, თამარ ჩხიტუნიძე, მაგდა გუგავა, თეონა ტურაშვილი
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)	სალომე საღარაძე
საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო (TI)	გიორგი თოფურია
სს ჯი-ი-სი (GEC)	გიორგი სიმონგულაშვილი
საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია (NALAG)	თამარ აბდალაძე
ფონდი „სოხუმი“ (Fund “Sukhumi”)	ეკატერინე გამახარია, მერი გელაშვილი
ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი (IRC)	გიორგი გაბრიელაშვილი
საერთაშორისო ორგანიზაციები/პროექტები	
ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში (EUD)	კატალინ გერმანი, კოლომბ დე მერსი
გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP)	ლუიზა ვინტონი, გიგი ბრეგაძე, ნანიკო წიკლაური, სოფო ომანაძე, ნატალია ბარათაშვილი, მაია გიორბელიძე, ანა ქებაძე, გიორგი ნასრაშვილი

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მმართველობისა და მენეჯმენტის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროექტი (OECD/SIGMA)	მარტინს კრიევინსი, ალასტარ სვარბრიკი, ლილიანა უზელაკი
შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID)	ლინა პანტელეევა
USAID-ის პროგრამა დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში - GGI	ლევან სამადაშვილი, მარიკა გორგაძე, მარიამ დავითაშვილი
გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)	ლაშა ენუქიძე
დიდი ბრიტანეთის საელჩო (British Embassy)	ელენ ვიჩმან, თამარ ტრაპაიძე
ევროკავშირის „დამმობილების პროექტი“ (EU Twinning Project)	რედა რეკასინი (Reda Rekasiene)
ასოცირების შეთანხმების განხორციელების მხარდამჭერი პროექტი II (AA Facility II)	იოლანდა ტაჩინსკა, ნინო სარიშვილი
ევროკავშირის საჯარო მმართველობის რეფორმის ტექნიკური დახმარების პროექტი (PAR TA)	ბლანკა ლასარო, ჰენრიკუს ვან ბოქსმეერი, მარკ ვან დენ მუიზენბერგი, ქრისტინე ნაჭყებია, ია მახარაშვილი
გაერო-ს ქალთა ორგანიზაცია (UN Women)	თამარ ვაშაკიძე, მარი ჯობავა